

## სასვენ ნიშანთა სტილური ფუნქცია გრ. რობაქიძის „გველის პერანგში“

ნებისმიერი ტექსტის ფორმად წინასწარვეა განსაზღვრული კონკრეტული ენის სისტემითა და ენობრივ ნიშანთა კონსტრუირების წესებით, ხოლო მხატვრული კონტექსტის ფორმა კი დამოკიდებულია იმაზე, ენის უამრავი საშუალებიდან რომელს აირჩივს სიტყვის ოსტატი.

ენას, — როგორც ბ. ჭორბენიძე აღნიშნავს, — აქვს მნიშვნელოვანი უნარი, შესაძლებლობა, გამოიყენოს, ერთი შეხედვით, მოულოდნელი საშუალებანი უკვი არსებული თუ ახლად შეძენილი მნიშვნელობების გამოსახატავად<sup>1</sup>. ესენია ენის შინაგანი ბუნებით შეპირობებული პოტენციური შესაძლებლობები, რომელთა მიგნებისა და გამოყენების უნარი დიდოსტატი ხელოვანთ შესწევთ მხოლოდ. სწორედ ასეთი დიდოსტატი ხელოვანია გრიგოლ რობაქიძე. მისი მხატვრული ნაწარმოებები, რა თქმა უნდა, შექმნილია ახალ სალიტერატურო ქართულზე, მაგრამ იმგვარად, რომ ამ თხზულებათა ენობრივი სამყარო უაღრესად თავისთვალი და გამორჩეულია.

ფონეტიურ-მორფოლოგიურ და ლექსიკურ თავისებურებათა გარდა, მთავარი, რითაც იქმნება გრ. რობაქიძის, როგორც სიტყვათშემოქმედის, მეტად ორიგინალური სტილი, მწერლის ენის სინტაქსია. მთლიანად მის ენას არასიათებს ძლიერი სემანტიკური ტევადობა და ფიქსირებულ უხვ ინფორმაციასთან შედარებით ძუნწისტყვაობა, ლექსიკური ლაკონიზმი. სიტყვიერი სიძუნწე, თითქმის როგორც წესი, კომპენსირებულია ქვეტექსტით, რისი

<sup>1</sup> ბ. ჭორბენიძე, ენა და კულტურა, თბილისი, 1977.

გამოხატვის ერთ-ერთ საშუალებადაც, ლექსემათა არასტერეოტიპულ რიგთან ერთად, ავტორი იყენებს სასვენ ნიშანთა გარევეულ ჯგუფს: ორწერტილს, მრავალწერტილს, ტირეს, კითხვა-ძახილის ნიშანს.

სამყაროს მხატვრული სიტყვის ოსტატისეული ხედვის თავისებურებებით განისაზღვრება შინაარსობლივი თავისებურება ტექსტისა თუ ქვეტექსტისა. ტექსტი ჩეალიზებულია წერილობით, ხოლო ქვეტექსტის ჩეალიზების აუცილებლობისაკენ გრ. არაბაქიძესთან მკითხველის ცნობიერების, სხვა საშუალებებთან ერთად, უბიძგებს განსხვავებულად, არატრადიციულად, გრამატიკული მარკირების გარეშე გამოყენებული სასვენი ნიშნები. ისინი უზრუნველყოფენ „იდეალური მკითხველის“ შემოქმედების სივრცეს, თუ გამოვიყენებთ ნინელი ჩერემესინას ტერმინს იდეალური მკითხველი; ალექსანდრე ლევიცოვის<sup>1</sup> აზრით კი, წერილობითი ძეგლის, როგორც სიტყვიერი ხელოვნების ნიმუშის, აღქმადა მიღება რომ განხორციელდეს, საჭიროა არსებობდეს ნიჭიერი ანუ ტალანტის მქონე მკითხველი. სავსებით ვიზიარებთ ორივე მეცნიერის აზრს.

გრამატიკული მარკირების გარეშე გამოყენებული სასვენი ნიშნები მიგვაჩნია ინტონაციის ისეთ გრაფიკულ გამოხატულებად, რომელიც ითხოვს წაკითხვას, რის შედეგადაც უნდა შედგეს კავშირი ინტონაციასა და ტექსტის შინაარსს შორის. ამ დროს მკითხველი გარდაიქმნება თანავტორად, ხოლო ნამდვილი ავტორი — ასტრაქტულ მეთვალყურედ.

ფიქსირებული სასვენი ნიშანი, რა თქმა უნდა, პაუზას ნიშნავს, მაგრამ არა მექანიკურს, არამედ პაუზის ფიქრისათვის, წარმოდგენებისათვის, რაღაცის გახსენებისათვის, რაღაცის აჩქვანისათვის და შემოქმედის როლში აღმოჩენილ მკითხველს ავტორი იძულებს, იყოს არა უბრალო ამბავთმოყვარე, არა უბრალო მსმენელი, არამედ აქტიური თანამდიქვრელი და ერთსა და იმავე დროს მომწოდებელიც და მიმღებიც ქვეტექსტური ინფორმაციისა.

სასვენ ნიშანთა ამგვარად გამოყენების საილუსტრაციოდ

<sup>1</sup> Н. В. Черемесина, Вопросы эстетики русской художественной речи, Киев, 1981;

<sup>2</sup> А. М. Левидов, Автор-образ-читатель, Ленинград, 1983;

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს რომანი „გველის პერანგი“<sup>1</sup>. მასში ისეთი თავისებურებები გვხვდება, რაც ნაკლებად ან თითქმის არ შეინიშნება სხვა თხზულებებში.

გრ. რობაჭიძის, როგორც მწერლის, ენის ფენომენის სტილს, ბუნებრივია, განაპირობებს არჩეული ლიტერატურული მეთოდი — სიმბოლიზმი. „გველის პერანგი“, ჩვენი აზრით, ენობრივ-სტილური თვალსაზრისით, კლასიკური ნიმუშია სიმბოლისტური პროზისა. სიმბოლისტისათვის სიტყვა სიმბოლოა. სიმბოლოს, როგორც ასეთის, ფუნქციას ანიჭებს გრ. რობაჭიძე სასვენ ნიშანსაც და იგი მისი სიმბოლისტური პროზის ენობრივი ესთეტიკის შექმნას ემსახურება.

რომანში სასვენ ნიშანთა ხმარების სხვადასხვაგვარ თავისებურებას ვხვდებით. მაგალითად: სრულიად უგულებელყოფილია მძიმე და კითხვის ნიშანი. მძიმის ნაცვლად იხმარება ორწერტილი, ტირე ან საერთოდ არაფერი, ხოლო კითხვის ნიშნის ნაცვლად, როგორც წესი, — კითხვა-ძანილის ნიშანი. ცალკე ძანილის ნიშანი გამოიყენება, ხოლო კითხვისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ — არა.

## ორწერტილი

ორწერტილი სხვადასხვა შემთხვევაში იხმარება: 1. თავის ტრადიციულ ადგილას; 2. მძიმის, წერტილისა და ტირეს ნაცვლად. 3. გამოტოვებული ენობრივი ნიშნების — ზმის, კავშირებისა და კითხვა-მიზების ფორმულების ნაცვლად; 4. ყოველგვარი გრამატიკული წესების გარეშე ავტორის ნების მიხედვით. ამასთან, იგი ყოველთვის გარკვეული სტილური ღირებულების შემნეა და ემსახურება: ა) ფიქსირებული ფორმის გამეორების თავიდან აცილებას, ბ) რიტმულ-ინტონაციური წესრიგის შექმნას, გ) საჭირო ემოციისა და ინტერესის აღდვრას, დ) მხატვრულად მარკირებული ქვეტექსტური ინფორმაციის შილებას და სხვა.

<sup>1</sup> გრ. რობაჭიძე, „გველის პერანგი“, ტოილისი, 1926.

## ორწერტილი სხვა სასვენი ნიშნის ნაცვლად :

აქ არც ფასუსტია: მამას რომ დაეძებს... (57). მღერიან „მრავალ-  
გამიერს“ ქართულს: რომელიც... (45); ქალაქი: რომელიც... 19. ხრისტი-  
ონტავდება: ცხრება... სპარსელმა იცის: რომ ბოლოს ზტვრად იქცევა  
ყოველი... (13); სწორედ ბავშის ხნის მოგონებაა რთული: რადგან...  
(31); ხომ ხედავთ: თესალიილ კულიანებს სცოლნიათ: რომ მოვარე მოხა-  
რულია ძალების ყეფის... (64); (ორწერტილი მშიმის ნაცვლად).

არჩიბალდ მეკეშს ძირები არა აქვს: აქ იგი უძიროა. (31); ხმელი  
ამერიკელი ცოცხლდება: სიყვითლე მერად სითეორეში ვადადის. (26);  
არჩიბალდ მეკეში გველავბერივით შეირჩევა: ძველი ბაბილონის მაგიუ-  
რი სიტყვები სმენაში ტკიიასავით ჩაესხმიან... (27); სხვაობა და ზიზღი  
მოხსნილია: ერთი ტარი ყველა ტუჩქბისათვის (14); ჰამაღან: ძველი ეპ-  
ბატიანა: საუნგე ანემენიდების დინასტიის. (10); (ორწერტილი წერტილის  
ნაცვლად).

## ორწერტილი გამოტოვებული ენობრივი ნიშნის ნაცვლად :

ხედავს ქილი. მის შინ: [დგას] ვაუი... (65); ზედ: [არის] ჰებრაუ-  
ლი წარწერები ამოჭრილი, (11),

ხასიათში: [ჩანს] სიფიცხე და გულჩილობა. (121); ეზო: [არის]  
საფლავებით აგსილი. (11);

## ორწერტილი არა წესის, არამედ ავტორის ნების მიხედვით :

მაშ: ორი ცეცხლია: პორტრეტისათვის. (130); — მერე და: ქა-  
ლის ხელი ცხელი იყო (206); მაგრამ ამ გავარდნაში: ერთი ზზარი —  
ვამების დაწინაურება (199), ეს: ირანის ტიტველი კლავებია (151); —  
მერე და: ყმაწვილი დანაღვლიანდა (207);

## მრავალწერტილი

ტექსტის სინტაქსურ სტრუქტურაში შეიმჩნევა მრავალგვა-  
რი მოულოდნელობა. მოულოდნელად აღიძება არარეალიზებუ-

ლი მოსალოდნელი. გამოტოვებული მოსალოდნელი ელემენტი შეცვლილია მრავალწერტილით. იგი (რომელიც გრაფიკულად ხანორი, ხან სამი წერტილისაგან შედგება) ხშირად გამოიყენება და მოხმობილია მხატვრულად მარკირებული ქვეტექსტური ინფორმაციის მოსაწოდებლად.

მაგრამ ეგვიპტის პროფილში ხასიათიცაა პიროვანი... პორტრეტისათვის... და ტერრასაზე ქალი ხვდება... (129); ჰაა... ფიქრობს არჩიბალდ.. ეს სხვა ცეცხლია: პიროვანი.. ეგვიპტის პროფილი პიროვანიცაა.. (130); კიდევ სხვა ცეცხლიც... (131); — თუმცა „არჩიბალდ“ „არჩილს“ სჭობს.. (133); მიწას გთხოვს... (132); (მრავალწერტილი უფრო დიალოგებში გვხვდება.)

ერთი და იგივე ტექსტობრივი მასალა და გრამატიკული ფორმა გამოიყოფა სხვადასხვა სასვენი ნიშნით და პირიქით: ერთი და იგივე სასვენი ნიშანი გამოყენებულია სხვადასხვა ტექსტური მასალისა და გრამატიკული ფორმის გამოსაყოფად. როგორც აღვნიშნეთ, ყველაფერი დამოკიდებულია ავტორის არჩევანზე. იმაზე, თუ რას აძლევს იგი უპირატესობას და როგორი ემოციური შეფერილობით მოსახს მას.

„წინადადების ინტონაციური სტრუქტურა უმეტეს შემთხვევაში განისაზღვრება მისი სინტაქსური წყობით. მეტყველების შინაარსი განსაზღვრავს სწორედ მის ნეიტრალურსა თუ ემოციურ ელფერსა და შეფერილობას სხვადასხვა კონტექსტისა და სიტუაციის მიხედვით. ...კომუნიკაციის გააღვილების მიზნით ინტონაციის ძირითადი კომპონენტები, ერთი მხრივ, აწარმოებს გაბმული მეტყველების დანაწევრებას რიტმიკულ ჯგუფებად, ფრაზებად და ა. შ... ხოლო, მეორე მხრივ, ამ ენობრივი ერთოულების გაერთიანებას ახდენს და წარმოიქმნება უწყვეტი ინტონაციური მთლიანობა აზრის მთლიანობის შესაბამისად“<sup>1</sup>.

გრ. რობაჟიძე, ჩვენი დაკვირვებით, სასვენ ნიშნებს არა გრამატიკული დანიშნულებით, არამედ სწორედ გაბმული მეტყველების რიტმიკულ ჯგუფებად დასანაწევრებლად იყენებს, ანუ გამოყოფს „ინტონაციის ძირითად კომპონენტებს“. „ინტონაციას ორმხრივი ბუნება აქვს: მას არა მარტო გამოხატვის ფუნქცია

<sup>1</sup> ს. ელენტი, ქართული ენის რიტმიკულ-მელოდიკური სტრუქტურა, 1963, გვ. 78.  
342

აქვს დაკისრებული, არამედ თავისი შინაარსიც აქვს, როგორც  
წინადადების სტრუქტურის უცილობელ კომპონენტს<sup>1</sup>. აღნიშნუ-  
ლიდან გამომდინარე, ბუნებრივია, ვივარაუდოთ: თუ შინაარსი  
აქვს ინტონაციას, შინაარსი აქვს სასვენ ნიშანსაც.

### ტ ი რ ე

ორწერტილთან ერთად „გველის პერანგი“ დატვირთულია  
ტირეთი. ორწერტილის მსგავსადვე მრავალფუნქციიანია იგი: იმე-  
ორებს ყველა იმ შინაარსს, რასაც ორწერტილი, მაგრამ ისინი  
განსხვავებულია ემოციური შეფერილობით.

ორწერტილს განმარტება-არჩევანის გამოშხატველი ელფერი  
აქვს, ტირეს — განმარტება-მტკიცებისა.

ატენილი ჯეჭილი ნაშუადლევს — ნიავი როს ქროლეით გაღმოი-  
არს-ზორჩებით გაიზნიქება ხოლმე (79); ტირელ კლდეებს თვალები  
რომ მოაცილა — ხედვაში ვასაკასფერი შერჩა (38); შორილან — ცხე-  
ნების თქარაოქური..., ემირ ავლან და აბოკალიფსი — სად შეხვდებიან  
ერთმანეთს (19); ხალისიანი — ხალისი ხდება (26); შემომსვლელს ალ-  
ბათ ეშინია — სიცხე არ შევარდეს ოთახში (75); ირუბაქიძე ტებება  
თითქო — და ერთი კიდევ გადასძახებს (116), ჩურჩულით — თავისოფის  
(79); თითქო ნირვანაში ჩაძირული — დასცემერიან შაჰმათის დაფას  
(71); შორეული კვნესა სადგურზე — საცა ბარათებს ელიან (30);

განსხვავებულ შთაბეჭდილებას ქმნის თვალისა, სმენისა თუ  
ემოციისათვის, ერთ წინადადებაში ერთდროულად გამოყენებული  
გრამატიკულად არამარკირებული ტირე და ორწერტილი. აქ ერ-  
თმანეთს ენაცვლება განმარტების, არჩევანისა და მტკიცების ემო-  
ციური შეფერილობები:

თავადი ხედავს: რომ ცხენი განელებულია და ცნობს — დაიღუ-  
ბება (116); (ორწერტილი — განმარტება, ტირე — მტკიცება). შეილის  
გზა: ამცდენია — საცდენი — გადამჩენავი (57); ტანით: ალესილები —  
ასხლეტილები — ალეშილები. (45); მოხუცი ხედავს: მატასის — (არა:  
მზებას) — წყალი მიაქვს დოქით (336).

<sup>1</sup> ს. ჟღერტი, დასახ. შრ., ... გვ. 78.

ზოგჯერ მხოლოდ ერთი და იმავე სასვენი ნიშნის ჩიგი წარმოადგენს მთელ წინადადებას (გვ.: 165, 166, 196, 200, 10, 16, 20, 73, 74 და სხვ.) ასეთი წინადადება გამოხატულია მრავალ-წერტილით ან კითხვა-ძახილისა და ძახილ-კითხვის ნიშნით. ბუნებრივია, მსგავს შემთხვევაში იზრდება მკითხველის, როგორც თანაავტორის, როლი და მატულობს ყურადღების დაძაბულობის გრადაცია, რაც, ვფიქრობთ, არის სწორედ ავტორის მიზანი.

რა თქმა უნდა, წესების უგულებელყოფით გამოყენებული სასვენი ნიშნები ყველა შემთხვევაში არ არის სტილურად მარკირებული; არც მარკირების შემთხვევაში აქვს მას ერთი და იმავე სიძლიერის მხატვრული ღირებულება. ზოგჯერ იმის სურვილიც ჩნდება, რომ არ იხმარებოდეს ამგვარად, მაგრამ ძირითადად იგი გარკვეული შინაარსის მქონეა და ემფატიკურად დატვირთული ტექსტის ესთეტიკის შექმნას ემსახურება. ემსახურება მოულოდნელის ფსიქოლოგიური ფენომენის განხორციელებას, რამდენადაც, როგორც ზემოთ აღნიშნეთ, მოულოდნელად აღიმება არარეალიზებული მოსალოდნელი, რაც ნიშნავს იმას, რომ სტილურად ნეიტრალური მოსალოდნელი ელემენტი გამოტოვებულია და მნიშვნელობის, აზრის, ინფორმაციის აღმნიშვნელი ბეჭრობრივი გარსი, ანუ სიტყვა თუ სიტყვათა ჯგუფი შეცვლილია სასვენი ნიშნებით: ორწერტილით, მრავალწერტილით, ტირეთი, კითხვა-ძახილისა თუ ძახილ-კითხვის ნიშნით.

ლოგიკურად მოსალოდნელის ფონზე ზუსტად შერჩეული გაუთვალისწინებელი, არანაწინასწარმეტყველები ყოველთვის ესთეტიკურია, როგორც არაჩვეულებრივი, და იწვევს გაოცებას. მასზე ჩერდება მკითხველის განსაკუთრებული ყურადღება. იგი ექსპრესიის შექმნის ნათელი ეფექტური საშუალებაა. ამავე დროს ტექსტითა თუ ძვეტექსტით მოწოდებულ ინფორმაციას ამდიდრებს. სრულყოფილად ხორციელდება მაღალი რანგის სიტყვათხელვნების ნიმუშის, ჰეშმარიტად ღირებული მხატვრული ნაწარმოების ენობრივი ფენომენის მიზან-შედეგი: ინფორმაცია + ემოციური ზემოქმედება.